ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნაკადული

ბავშვთა ჟურნალი

დეკემბერი
№ 23

1910

მცირე წლოვანთათვის.
წელიწადი მეექვსე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი.

I—პატარძალი და თაგვი,—ლექსი შიო მღვიმელისა..... 3

II—ერთად ჩაეძინათ,—ვ. თამრიშვილისა..... 5

III—კრუხი და ძერა,—იგავი ალ. მირიანაშვილისა.....10

IV—პატარა გოგონა და ასანთი,—ზღაპარი ჰ. ანდერსენისა (თარგმანი) დ. მოლოდინისა.....12

VIII—ბებია ეტნა,—თარგმანი (დასასრული) ***-სა.....16

V—სახაზავის თავგადასავალი,—(ვაგნერიდან) დ. ეიფეიხისა..20

VI—გასართობი,—ა) გრეხილები,—ბ) ცხრილისა და რებუსის ამოხსნა.....23

ელექტრო-მბეჭდავი წიგნების. გამომც. ქართვ. ამხ—ბა.

წელიწადი მე-VI | № 23 | დეკემბერი 1910 წ.

223

საქართველოს სახელმწიფო ბიბლიოთეკა
თბილისი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი.

I—პატარძალი და თაგვი,—ლექსი შიო მღვიმელისა..... 3

II—ერთად ჩაეძინათ,—ვ. თამრიშვილისა..... 5

III—კრუხი და ძერა,—იგავი ალ. მირიანაშვილისა.....10

IV—პატარა გოგონა და ასანთი,—ზღაპარი ჰ. ანდერსენისა (თარგმანი) დ. მოლოდინისა.....12

VIII—ბებია ეტნა,—თარგმანი (დასასრული) ***-სა.....16

V—სახაზავის თავგადასავალი,—(ვაგნერიდან) დ. ეიფეიახისა..20

VI—გასართობი,—ა) გრესიდები,—ბ) ცხრილისა და რებუსის ალსნა.....23

ელექტრო-მბეჭდავი წიგნების. გამომც. ქართვ. ამხ—ბა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პატარძალი და თაგვი.

ერთ პატარძალს თაგუნიამ
არაფერი დაუუენა:
რაც კი ნახა განჯინაში
კნაწა-კნუწი აუუენა.

გაიფიქრა: როგორ, თაგვი
უნდა დამრჩეს დაუსჯელი?!
ეველაფერი ჩამოიღო
დაარჩინა მხოლოდ ეველი.

თუ ის არის კუდიანი,
მეც კი ვარო ცოტა-მატა
და წრუწუნას დასაჭერად
განჯინაში შესვა კატა.

სანამ თაგვი გაჩნდებოდა,
ფისუამ ეველს მოულხინა,
გამოძღა და ნებიერმა
იქვე ტკბილად მიიძინა.

კბილ-კნატუნაც მოცუცუნდა,
მიიარა, მოიარა;
ეურ-მახვილმა შეიტეო-რა,
ჩუმად პრწკალი წაუპარა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰატარძალმა თაგუნიას
წრუწუნი რომ გაიგონა,
დაიძახა: ახიაო!
რას ფიქრობდი, რა გეგონა!

წამოვარდა, განჯინის კარს
მიატანა, სტაცა ხელი,
კატას თაგვი დაეჭირა,
არსად გახლდათ მხოლოდ ეველი.

გაჯავრდა და გაგულისდა,
რაკი დარჩა ხახა-მშრალი,
მაგრამ რაღას უშველიდა
ჩვენი ფრთხილი ჰატარძალი!

შ. მღვიმელი

ერთად ჩაეძინათ!

ოვლი, თოვლი! დილილმე, ჭირიმე! — გასარებით წამოიძახა ექვსის წლის გიომ და ფანჯარას მივარდა დაენახა, თუ რა ხდებოდა ეზოში.

იმის უვირილზედ ჰატარა, სამის წლის შალიკომ თვალი გააჭეიტა და ნამძინარევის ხმით წამოაურანტალა:

— გიო, აბა სად ალის?

მართლაც და, თუმცა ჯერ კიდევ გიორგობისთვე არ გასულიეო, მადარფაკივით თეთრი თოვლი ჭაერში ირეოდა და დედამიწასა ჭბარდნიდა. ზოგიერთი ფიფქი ფანჯრის მინებს მოჭხლოდა და კუთხეში მიჭუჭკულიეო, თითქოს შეჭშინებიაო, რომ იქ, დაბლა ეზოში, თავის მოძმეთა ზვინებში და ორომტრიალში არ დაკარგულიეო.

გიო და შალიკო მეგობრები იუვნენ, დიდი მეგობრები: შალიკო უგიოთ ვერ ცხლებდა და გიო — უშალიკოდ; თუ რაიმე ვაჟკაცური აზრი რომლისაძე გონებაში ჩათესლდებოდა, — აუცადია, რომ ერთმანეთისათვის არ გაეზიარებინათ. ჯერ კიდევ გუშინ, უნდა გენახათ, რა გულდასმით მოისმინა შალიკომ დიდებული აზრი გიო-რაინდისა, რომ მამას ჯოხს ჩემი ქამარი აღვირად გაუკეთოთ და ზედ მკვსხდეთო; თქმა და ასრულება ერთი იეო: მთელი ოთახები შემოირბინეს გულოვანმა მხედრებმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიო, ღარიბ დედ-მამის შვილი, ჯერ კიდევ ოთხის წლისა, ობლად დარჩენილიეო.

ობოლს გიოს, უპატრონოსა და უკიაპოს, შიმშილი მოელოდა, როდესაც ქალაქში მეოფმა მდიდარმა ნათესავებმა თავისთან წაიყვანეს. — „ცოტაოდენს ხელზედ მოგვესამსახურება, როცა წამოიზრდება და ახლა კი პატარა ბავშვს გაართობსო.“

გამოცნობა არ სჭირია, რომ ეს პატარა ბავშვი შალიკო იქნებოდა.

თუმცა შალიკო თავისს ტიტინში გიოს თავისიანადა სთვლიდა, მაინც უფროსნი ცდასა და უნარს არ აკლებდნენ დაემტკიცებინათ, რომ გიო შალიკოს ძმა ვერ იქნებოდა, რომ შალიკოს, თუმცა გიოზე უმცროსია, ამ სახლში მეტი უფლება აქვს ყვირილისა და ტირილისა, გიოს ცემისა და ტეპისა.

თოვლის მოსვლამ შალიკო გიოზე ნაკლებ არ გააცარა. ჩაიცვეს თუ არა, ცქერად გადიქცნენ: თოვლი უფრო მიმზიდველი ხდებოდა, გორაობა სანატრელად გაუხდათ. შალიკოს პატარა მურია, რომლის წკმუტუნსა და თავ-აღებულს ონავრობას შინაურთათვის ილაჯი გაეწყვიტა, აივანზედ გასულიეო და იქ თოვლზედ ეირამალა გადაგიოდა; იმის მალაყები და ხტუნვა ფანჯრიდან მაცქერალთ შალიკოსა და გიოს ტკბილად ახითხითებდა და უნებურად სურვილს უძრავდა მისებრ ხტუნვისას.

ნაცარა ბეღურები ისე უდარდელად დახტოდნენ დათოვლილ ხის ტოტებზე, თითქოს აქ არაფერიაო, თან თავისს დაუსრულებელს „ჭერიპ“, „ჭერიპ“-ს არა შლიდნენ. მოხუცი მეეზოვე ჩაბალახით შებორბლილიეო, თვალებიცა-კი ძლივს

ეროვნული ბიბლიოთეკა

უჩანდა, ტანზე დიდი ძველი ქურქი ჩაცვა და გულმოდგინედ ნიჩბით ეზოს თოვლისგან სწმენდავდა. მაგრამ თოვლის ფი-

ფქები, თითქოს ვისმეს გაუძრახ-გაუსისინებიაო, ჰირში ეს-ლებოდა და მისგან აწმენდილს ადგილს ისევ ჭშანშლავდა.

მეეზოვე ჯავრობდა, ბუზღუნებდა, ბავშვები-კი ფანჯრიდან უდარდელად სიცილს აყრიდნენ.

— გიო, ვითამაშოთ თოვლში? —შეეხვეწა შალიკო.

— დედა რომ გაგვიჯავრდება, ან მამამ რომ მოგვასწროს?

მაინც ამ საბუთებმა ვერ დაამოშმინეს შალიკო და, ცოტა ოუმანის შემდეგ, გიოც დაეთანხმა.

გიოს რჩევით ქუდები დაიხურეს და ფეხ-აკრეფით აივან-ზე გავიდნენ, რომელსაც საფარი არა ჭქონდა და თოვლს დაეფარა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთი-ორჯელ თოვლში გაგორდნენ. ძლიერ იამათ თოვლის ხრაშა-ხრუში, ერთმანეთს ორიოდე გუნდაცკი უთავაზეს და მერე დიდებულ აზრის განხორციელებას შეუდგნენ: ეზოში ჩასულიყვნენ და იქ მეეზოვის გამოსაჯავრებლად. თოვლში ეგორავნათ და გულიანად ეხარხარნათ.

აივნიდან ეიქინით გაეძართნენ კიბისკენ ძირს ჩასასვლელად. თოვლი უფრო უმატებდა და ქარისგან ჰაერში მეტად ირეოდა.

— შალიკო, აი, იქ წავიდეთ, აგორავებულ თოვლთან, იქ კარგია!—ეძახდა გიო.

ორივენი, სადაც მეეზოვეს დიდი ზვინი აეგორავებინა, იქითკენ წავიდნენ.

უცებ შალიკო წაიქცა და თოვლის სუსხი იგრძნო. წაქცევა და ატირება ერთი იყო.

— სად გამოგიყვანია ეგ ბავშვი, შე არამზადავ! —უყვიროდა გიოს მეეზოვე.

შალიკოს ტირილზე შინაურები გამოცვივდნენ და საჩქაროდ შინ შეიყვანეს ატირებული რაინდი.

— გიომ გაგიყვანა, გენაცვალე? — შეეკითხა დედა.

— ალა, მეც წავედი და გიოც!—მაინც მისმა ახსნამ არავინ დააკმაყოფილა და ბრძანება, მკაცრი ბრძანება გასცეს:

— გიო, კუთხეში მიეთრიე და სადილობამდის ფეხი არ მოიცვალო მანდედან.

შალიკოს დასველებული ტანისამოსი გამოუცვალეს, გიო კი სველ ტანისამოსით კუთხეში კანკალებდა.

— გიო, გცივა, გიო?—გულმტკივნეულად შეეკითხა შალიკო, რომელსაც სიბრალულის ცრემლები ყელში მოსჩრობდა და ლაპის დაეხრჩო.

— გაგათბო, გიო, გცივა, გიო? ბუხალთან მოდი, გიო!

— არა, დედა გამიჯავრდება!—უარობდა გიო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— გაგათბო, გიო? — მზრუნველობით ეტიკეტიკებოდა ქალ-ლიკო და თან ეხვეოდა.

—

ჰატარა ხანს უკან საუცხოვო სურათი წარმოუდგათ უფ-როსებს თვალწინ: ორივეს გადახვეულთ კუთხეში ტკბილად ჩასძინებოდათ.

შალიკოს ჰატარა ფუნჩულა ლოყაზე ერთი ცრემლი ობ-ლად შეჭყინოდა, თითქოს მის გულ-ჩვილობასა და გულ-თბი-ლობას ემოწმებაო!

ვ. თამრიშვილი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კრუხი და ძერა

(იგავი)



ერა კრუხ-წიწილებს თავს დასტრიალებდა; კრუხმა თვალი მოჰკრა და გასძახა:

— ძერავ, ძერავ! მეზობელთან უნდა მივირბინო — საქმე მაქვს; და-ძმობას, სანამ დავბრუნდები, ჩემს წიწილებზედ თვალი გეჭიროს, არამ დაძიზიანოს.

— კეთილი და ჰატიოსანი, — მიუგო ძერამ, — ასეთ მცირე დავალებაზედ როგორ დაგზარდები.



კრუხი მეზობლისას წავიდა და ძერამ წიწილებს მიჰყო ხელი: ორიოდე წამში სულ მუსრი გაავლო — თორმეტიდან სწორედ ექვსი გადაყლაპა.

როცა კრუხი დაბრუნდა და თავის შვილების უბედურება ნახა, მორთო საშინელი წივილ-კივილი, იწყო აქეთ-იქით თავის ხეთქება და მიუბრუნდა ძერას:

— შე, ულმერთო, შე, წყეულო, შე, შეჩვენებულო! მე წიწილების მოვლა გთხოვე, შენ-კი, ამის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაცვლად, ჩემთვის რა დღე დაგიუნებია?! რად დამღუპეთ, რად დამანელე, შვილები რად დამიყლიტე?!

— როგორი მწყემსიც ვიყავი, მოვლაც ისეთი გამოვიჩინე; რატომ მაღლიერი არა ხარ, რომ ნახევარი მაინც ჭირნათლად ჩაიბარე; მეტად რომ მშიებოდა, ერთ წიწილასაც ვეღარ მოუსწრობდიო,—მიუგო ბერამ და არსეინად აემართა ცისკენ.

ალ. მირიანაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

პატარა გოგონა და ასანთი.

(თარგმანი)



ძშინელი სიცივე იყო: თოვლი მოდიოდა და გარედაც მთლად ჩამობნელდა. ეს იყო ძველის წელიწადის უკანასკნელი საღამო.

ამ სიცივესა და სიბნელეში ქუჩა-ქუჩა მიდიოდა ფეხ-შიშველა და თავ-შიშველა პატარა ღარიბი გოგონა. სახლიდან, მართალია, ჩუსტებით გამოვიდა, რომლებიც იმოდენები იყვნენ, რომ დედაცკი ხმარობდა ხოლმე, მაგრამ გოგონამ ისინიც დაკარგა როდესაც ქუჩის მეორე მხარეს გადასვლას ჩქარობდა, ეტლებმა არ გამჭელიტონო. ერთი ჩუსტი სულ დაეკარგა, მეორე-კი ვიღაც პატარა ბიჭმა აიტაცა და მოჰკურცხლა: ფიქრობდა, ჩემი დედოფალასთვის აკვნად გამომადგებაო.

ამიტომაც ბავშვი ფეხშიშველა მიდიოდა და ფეხები სულ-მთლად დაულურჯდა სიცივით. ძველს წინსაფარში შეხვეული ჰქონდა მრავლად გასასყიდი გოგირდის წუმწუმები, ერთი ხვეული-კი ხელში ეჭირა. მთელი დღე ისე დაღამდა, რომ არავინ რა იყიდა მისგან, ერთი გროშიც არავინ მისცა.

სიცივითა და შიმშილით აკანკალებული მიიკვლევდა გზას ეს საცოდავი ბავშვი.

თოვლის ფიფქიც დასდებოდა მის გრძელს და ქერა თმას, მშვენიერს კულულებად მხრებზე დაფენილსა... მაგრამ ეს სილამაზე, რაღა თქმა უნდა, ფიქრადაც არ მოსდიოდა პატარას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეველა ფანჯარაში გამოჭკრთოდა სანთლების შუქი და ეოველის მხრიდან მშვენიერ შემწვრის სუნი მოდიოდა. ახალწლის წინა დღე იეო და, აი, სწორედ ეს სუნი იტაცებდა საცოდავ ბავშვის ფიქრს.

გოგონა მიჯდა ერთ სახლის კუთხეში და მთლად მოიბღუნძა. მოკეცილი იეო და ფეხები კაბის კალთებ ქვეშა ჰქონდა დაფარული, მაგრამ მაინც სცივოდა. სახლშიაც ვერ გაებედნა მისვლა, რადგანაც ერთი ცალი ასანთიც ვერ გაეიდა და უგროშ-კაპეიკოდ ვერ მივიდოდა შინა.

კარგად იცოდა, რომ მამა სცემდა, ცარიელის ხელით რად მოხვედიო, მაგრამ არც-კი იმათ სახლში იეო სითბო: ქარი თავისუფლად შექიქინებდა იმათ სახლში, თუმცა ეველა ჭუჭრუტანა ჩალითა და ძონძებით იეო გამოჭედილი.

ხელები თითქმის სულ გაუფიჩხდა საცოდავს სიცივით. ერთი ასანთი-კი ცოტაოდნად უშველიდა. ოჰ, რომ შეეძლოს გამოღება ხვეულიდან ერთის ცალისა, გაჰკრავდა კედელზე და მოითბობდა თითებს!

გაბედა კიდეც ასანთის გამოძრობა. ტრრ! — რანაირად აბულბულდა, რანაირად აენთო! ბავშვს ეჭირა ხელი ცეცხლზე და ცეცხლიც ისეთი თბილი იეო, მოკაშკაშე, მშვენიერი! ასე ეგონა, დიდ რკინის ფეჩთანა ვზიავარო, ისე მადლიანად ენთო ცეცხლი, ისე კარგად ათბობდა; ბავშვმა ფეხებიც გაშალა გასათბობად, მაგრამ ამ დროს ცეცხლი ჩაქრა, ფეჩიც გაჰქრა და ხელში მხოლოდ ასანთის ნამწვი-ღა შერჩა.

გაჰკრა კედელზე მეორეც: აენთო და იმ ადგილას, სადაც ცეცხლის შუქი დაეცა, კედელი ისეთი გამჭვირვალე შეიქნა, რომ ბავშვს შეეძლო დაენახა, რა ამბავი იეო ოთახში.

იქ მაგიდაზე გადაფარებული იეო თეთრი სუფრა, რომელზედაც დაელაგებინათ ბრწყინვალე ფაიფურის ჭურჭელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

და შემწვარი ბატი, გარშემო ვაშლებითა და ქლიავებით შემკული, რიგებული.

მაგრამ უველაზე საკვირველი ის იყო, რომ ბატი უცბად გადმოხტა ფაიფურის ტაბაკიდან და, გულში დანა-ჩანგალ ჩარჭობილი, ეიალით გაემართა ჰირდაჰირ საწყალ გოგონასკენ.

მაგრამ ამ დროს წუმწუმა ჩაჭქრა და სქელი, ნოტიო და ცივი კედლის მეტი ვეღარა დაინახა რა ბავშვმა.

კიდევ აანთო წუმწუმა. ახლა მოეჩვენა, ვითომ ერთ მშვენიერს შობის ხის ქვეშა ზის. ათასნაირი ჰატარა სანთლები აკაშკაშებდა ხეს და ფერად-ფერადი სურათებიც, როგორებიც მაღაზიის ფანჯრებშია ხოლმე გამოკიდული, ზევიდან დასცქეროდა ხეს... ბავშვმა გაიწოდა იმათკენ ხელი, მაგრამ აქაც უმუხთლა ბედმა, ჩაჭქრა წუმწუმა. მის თვალში შობის ხის ცეცხლები სულ მაღლა-მაღლა ადიოდა და ახლა უკვე ცაზე ვარსკვლავებად ეჩვენებოდა. აი, ერთი მათგანი მოსწყდა ცას.

„ამ წუთში ვინმე კვდება“! გაიფიქრა ბავშვმა. იმის ბებერი დიდედა, ერთად ერთი ადამიანი, რომელსაც უყვარდა ბავშვი და ახლა უკვე მკვდარი იყო, უამბობდა ხოლმე, რომ როდესაც ცას ვარსკლავი მოსწყდება, იმ წუთას ადამიანის სული ცაში ადისო, ბავშვმა კიდევ გაჭკრა კედელზე ერთი წუმწუმა,—იქაურობა ისევ განათლდა და ცეცხლის შუქზედ გამოეცხადა ბებერი დიდედა, — მშვიდი, გულ-კეთილი და ნათლით მოსილი...

— დიდედო!—შეჰყვირა ბავშვმა.—წამიყვანე მეც შენთან! მე ვიცი, ასანთი ჩაქრება თუ არა, შენც წახვალ: გაჭქრები შენც, როგორც გაჭქრა თბილი ღუმელი, მშვენიერი შემწვარი ბატი და ლამაზი შობის ხე!

და ბავშვმა სწრაფად მოუკიდა წუმწუმების მთელ ხვეულს, რადგანაც არ უნდოდა განშორებოდა დიდედას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წუმწუმებმა ისე დაიწყო ელვარება, რომ იქაურობა ლამ-
საცით განათლდა: არას დროს არა ეოფილა დიდედა ესე კარ-
გი, ესეთი წამოსადეგი; აიყვანა ბავშვი ხელში და ორივენი
სიხარულით გაფრინდნენ მაღლა-მაღლა. იმ სიმაღლეში არ
იყო არც სიცივე, არც შიმშილი და არც მწუხარება,—ისინი
ღმერთთან იყვნენ.

მეორე დღეს სისხამ დილაზედ ნახეს—ბავშვი იჯდა კე-
დელზე მიყუდებული, ლოყები გასწითლებოდა და სახეზე ღი-
მილი უკრთოდა: გაეინულიყო საცოდავი და გამოსალმებოდა
წუთი-სოფელს ძველის წლის უკანასკნელ ღამეს.

ახალ წლის მზემ მოჰფინა თავისი სხივები პატარა და
ნორჩ გვამს. გაუნძრევლად იჯდა ბავშვი წუმწუმებით, რომ-
ლების ერთი ხვეული დამწვარიყო

„უთუოდ გათბობა უნდოდა!“—ამბობდა ხალხი,—მაგ-
რამ ვინ მიხვდებოდა, თუ რა მშვენიერი სანახავები ნახა
ბავშვმა და რა ამბით მიეგებნენ ისა და მისი დიდედა ახალ
წელსა.

დ. მოლოდინი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბებია ეფნა.

(დასასრული)

ბიკოლემ ეური დაუგდო და უცებ ერუდ მოესმა ტირილი. მაშინ მოაგონდა, რომ იმისი ბაწია დები ნანგრევებში იყვნენ დარჩენილი და დაუწეო ძახილი. რა ძალიან გაეხარდა, როდესაც კედელში დაინახა ბატარა იჭვრიტანა და იქიდან მოესმა შესაბრალისი ხმა.

— ბიკოლე, გვეშინიან.

— ნუ გეშინიანთ, მალე მოვლენ და ამოგვიყვანენ,—ნუგეშსა სცემდა ბიკოლე. გაუწოდა მიჭვრიტანაში ხელი დებს, დებმაც გამოუწოდეს და ასე ნელ-ნელა დაშოშმინდნენ. ბატარა ხანს უკან, ერთმა მოითხოვა საჭმელი, დაიწეო ტირილი, მერე ზედ მოჰყვა მეორეც. თითონ ბიკოლესაც მოშივდა. დაიწეო ხმამაღლა ძახილი, რომ მიშველებოდნენ, მაგრამ არავინ მოდიოდა. დაჯდა ბიკოლე და დაფიქრდა, თუ როგორ მოქცეულიეო. მერე მოაგონდა, რომ საახალწლოდ დედამ იყიდა ბევრი ხილი, ღვინო და სხვა საჭმელი. დაიწეო ბნელაში შკაფის ძებნა, ბოლოს იპოვნა კუნჭულში. შკაფი გაღებული დახვდა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

შიგ რაც ელაგა, ის კი ძირს ეყარა. ჰიკოლემ მაშინვე [illegible] ნა ორი ფორთოხალი და მიაწოდა თავის ჰატარა დებს. დაშეული გოგონები დაალხრნენ ფორთოხლებს და დაუწყეს წუწვნა. ჰიკოლეს ისე გაუხარდა, რომ თავისი შიმშილი სრულებით გადაავიწყდა. ჰატარა ხანს უკან ბავშვებმა მოითხოვეს დედა. ჰიკოლე ეუბნებოდა, ცოტა ხანი კიდევ მოითმინეთ, მინამ მოგვეშველებიანო, მაგრამ ბავშვები არა ჩუმდებოდნენ და დედას ეძახდნენ. ჰიკოლემ ვეღარ მოითმინა და თითონაც დაიწყო ტირილი.

— როდის მოგვეშველებიან! რატომ არ მოდის ჩვენი დედამაა!

მერე ჰიკოლე დაშოშმინდა — ისევ მიეცა იმედი. კედელს უკანაც ბავშვები აღარ ტიროდნენ, ალბად ეძინათ.

ჰიკოლემ თავისთვისაც გაიფცქვნა ფორთოხალი, შეჭამა და დაიძინა. როდესაც გაეღვიძა, ბნელოდა, ზევიდან სინათლე აღარ სჩანდა. ცოტა ხანს შემდეგ ჰატარა დებს მოსწყურდათ. ჰიკოლემ იპოვნა წულის ჭურჭელი, უნდოდა თითონაც დაელია, ჩაჰყო ხელი და ჭნახა, რომ წყალი მარტო ძირს ღა ჭფარავდა. აიღო ჯამის ნატეხი, აავსო და მიაწოდა დებს. ძალიან ბნელოდა, ნატეხში წყალი ბევრი არ ჩადიოდა, ახლა გზა და გზაც იქცეოდა. კარგა ხანს მოუნდა ჰიკოლე წულის ზიდვას. წყურვილი რომ მოიკლეს, გოგოებმა დაიძინეს. თვითონ ჰიკოლემაც დაიძინა. როცა გაიღვიძა, ზევიდან სინათლე მოსჩანდა — გათენდა მეორე დღე. იმ დღეს დები საჭმელ-სასმელს თითქმის არ ეკარებოდნენ და სულ ტიროდნენ. ჰიკოლემ კიდევ დაიწყო ევირილი და ძახილი, ბოლოს დაიღალა და დაეძინა. გაიარა კიდევ ორმა დღემ. ჰატარა გოგოები აღარ ტიროდნენ, საჭმელ-სასმელს თხოულობდნენ. საწყალ ჰიკოლეს ეველაფერი ნელ-ნელა ელეოდა, ისე რომ თითონ თითქმის აღარაფერს სჭამდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რა იქნა ჩვენი დედ-მამა? —ფიქრობდა საწყალი ბიჭი. — ან რატომ არავინ არ მოდის ჩვენ ამოსაყვანად? —და იწყებდა ტირილს.

მეორე დღეს ჰიკოლემ უცებ გაიგონა რაღაც ხმაურობა. გახარებულმა ბიჭმა დაიწყო ყვირილი. ჰატარა ხანს უკან მოესმა:

— ხმა-მაღლა დაიყვირე!

ჰიკოლემ, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, დაიყვირა: „გვიშველეთ“! მაშინვე გაისმა რკინის კეტებით ცემის ხმა და ჰატარა ხანს უკან სამზარეულოს კედელი გაირღვა და ჰიკოლეს ოთახში უცებ სინათლე შეიჭრა.

— აქა ვარ! —წამოიძახა გახარებულმა ჰიკოლემ. ვიღაცაც აიყვანა ჰატარა ბიჭი ხელში და გაიყვანა გარედ. ესენი იყვნენ რუსნი მეზღვაურნი, რომელთა გემიც მესინას ახლო მდგარიყო იმ დროს ზღვაში და აქ მოსულიყვნენ თავიანთ გემით უბედურთა მისაშველებლად.

ჰიკოლეს დაუწყეს ალერსი და დაუჰირეს წაყვანა, მაგრამ იმან არა ჰქნა. დაიწყო ყვირილი, ხელ-ფეხის ქნევა, ბოლოს ძლივს გააგებინა, რომ თავის დების გადარჩენას სთხოვდა.

დიდ ბედნიერებას ჰგრძნობდნენ ბავშვები, ერთმანეთს რომ შეჰხვდნენ. მერე მოითხოვეს დედ-მამასთან წაყვანა. ბავშვები წაიყვანეს ერთ დიდ გემზე, სადაც მოეგროვებინათ სხვა გადარჩენილებიც. დედ-მამა არსად სჩანდა. მერე ყველანი გადაიყვანეს იტალიის სხვა ქალაქში, სადაც ჰიკოლე თავის დებით მისცეს ერთს მღვდელს. მღვდელი ძალიან კარგად მოეპყრა ჰიკოლეს და აუხსნა, რომ იმისი დედ-მამა დაიღუპა ქარხანაში სხვა მოსამსახურეებთან ერთადაო.

— ბევრია კეთილი ხალხი დედამიწაზე. საწყალ ბავშვებს უნუგეშოდ არ დასტოვებენ. შენ არ გადაანარჩუნე შენი დები

შიმშილისაგან?! ახლა სხვა ბავშვები გიშველიან შენ და ჭეს დებს.

ბევრი იტირა დაობლებულმა ჰიკოლემ, მერე აკოცა თავის ძმინარე დებს და სთქვა:

— დედ-მამამ დამავალა, კარგად გაუფთხილდე ჩემს დებს. ახლა მე უნდა შევინახო ჩემი დები და არავის დავაჩაგვრინო.

მართლაც ჰიკოლე თავის დღეში არ შორდებოდა ჰატარა გოგონებს, უვლიდა, ვარცხნიდა, აჭმევდა.

ჰიკოლესთანა დაობლებული ბევრი სხვა ბავშვიც იყო. ჰაწიები ყველას ეცოდებოდათ. დედამიწის ყველა მხრიდან უგროვებენ და უგზავნიან ფულს საწყალ ბავშვებს. ყველას უნდა—დაეხმაროს, რითაც შეუძლიან, საბრალოებს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახაზავის თავგადასავალი.

(ვაგნერიდან)

ამ სათაურის წაკითხვაზე, ახალგაზრდა მკითხველები იფიქრებენ: ვიცი, რაც გადახდებოდა თავს სახაზავს; ვიცი—ის მშველოდა ხაზების გაკეთებას რვეულში, მშველოდა ხაზვა-ხატვის დროს. ვიცი აგრედვე, რომ ჩემ მეგობრებთან ერთად ხიდის მაგიერობას გვიწევდა, რომელზედაც ჩვენი კალის სალდათები გადაგვავ-გადმოგვავდა და სათამაშო ეტლებსა და ორთქლ-მავალებს ვაგორებდით. მახსოვს, როგორ ეჭირა მასწავლებელს ხელში სწავლის დროს და აქეთ-იქეთ აქნევდა, როდესაც სკოლაში დასწავლილ გაკვეთილს ეველანი ერთად, მწუობრად უპასუხებდით.

ეს ეველაფერი მართალია; მაგრამ ის-კი არ იცით, თუ რა გადახდა სახაზავს, სანამ ხელში ჩაგივარდებოდათ.

დურგალმა ნეკენჩხალის ხისაგან გააკეთა. ნეკენჩხალი ისეთივე მოხუცი იეო, როგორც თქვენი პაპა. როდესაც პაპა ჯერ კიდევ ემაწვილი იეო—ნეკენჩხალიც პატარა, ნამცეცა მარცვალს წარმოადგენდა. მაღლა, მოხუც ნეკენჩხალის ტოტზე, ვიწრო ღერზე პატარა ნაეოფი ეკიდა. ნაეოფს აქეთ-იქეთ მი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრებული ჰქონდა ორი ნაზი ფრთა, ხოლო შუაში ოქროსა წაწინა მარცვალი ეწუო.

ერთხელ, ზაფხულის დამლევს, როდესაც ეს ფრთოსანი ნაეოფი დამწიფდა და ტოტიდან ძირს ჩამოვარდა, ქარმა წამოუბერა, და შორს, ძაღლა მთაზე გადასტეორცნა. აქ-კი ნაეოფი ძირს დაეშვა და რბილ ხავსზე დაეცა. მარცვლები ნაეოფიდან გამოსცვივდა, მიწაში ფესვები გაიდგეს და, ცოტა ხნის შემდეგ, მწვანე, ნორჩი მცენარენი აღმოსცენდენ. ფესვები უფრო და უფრო ღრმად იდგამდნენ ფეხს მიწაში, სწოვდნენ წვიმის სისველეს და წყალთან ერთად მიწის ნამცეცა ნაწილებსაც შეიკრებდნენ, ხოლო ზევით ახალგაზრდა ფოთლები მზის სინათლეს ჰულაპავდა და ჰაერს ისუნთქავდა. ამის გამო მცენარე იზრდებოდა, ფესვები გრძელდებოდა და მსხვილდებოდა, ფოთლები დიდდებოდა. გაიზარდა მაგარი, მაგრამ მოქნილი და წვრილი ღერო, რომელიც წლითი წლობამდის უფრო მაღალი და მსხვილი ხდებოდა.

ბევრის, ბევრის წლის შემდეგ, როდესაც ნეკერჩხალი უზარმაზარ და ძველ ხედ გადაიქცა, ტეეში შეშის მჭრელები მივიდნენ. მაღალი, სწორი და ფართო ნეკერჩხალი შეამჩნიეს, სხვა ხეებთან ერთად მოსჭრეს და ქალაქში გაჰგზავნეს.

იქ ნეკერჩხალი დურგალმა სხვა და სხვა ნივთების გასაკეთებლად იყიდა; მოამზადა კოლოფები, ჰატარა სათამაშოები, კალმის ტარების შესანახი და ბევრი სხვა რამე; ამავე ხიდან თქვენი სახაზავიც გამოსჭრა.

„მეორე მარცვალს რადა მოუვიდა“? იქნებ იკითხოთ. ამ მარცვლიდანაც დიდი ხე გაიზარდა. ის ასლაც, ფოთლებითა და ნაეოფით სავსე, ტეეში სდგას. ზევით, ხშირ ფოთლებში ნიბლიას წკნელებისაგან ბუდე მოუწნავს; სხვა ფრინველები მგზავრობის დროს მის ტოტებზე მოსვენებას ეძლევიან, ხო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლო მარდი სინჯაფი არსეინად ტოტიდან ტოტზე ხტის და ქანაობს. ამ ნეკერჩხალს თქვეს ნახავთ, როდესაც ტეეში სასეირნოდ წახვალთ. იქ უფრო კარგად გასინჯავთ მის ფოთლებსა და ნაყოფს. შორს, ამერიკაში, იზრდება მახლობელი ნათესავი ჩვენის ნეკერჩხლისა — შაქრის ნეკერჩხალი, რომლის ამბავი ალბად უკვე საბავშვო წიგნებიდან გსმენიათ.

დ. ყიფიანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრეხილები

თამრიკო, ელიკო და მათი პატარა ძმია ტარიელი შეცვივდნენ ქივილ-ხივილით სასადილო ოთახში, საცა დედა იჯდა.

— დედილო, ჩვენ ძალიან მოწყენილები ვართ!—ეკითხენ ბავშვები: —ერთი რამ ახალი თამაშობა მოგვიგონე.

— დედოფლები მოგვწყინდნენ! — ამბობდნენ პაწია ქალები.

— მეც ჩემი ახუა მომწყინდა! — დაუმატა პატარა ტარიელმა.

დედამ მხიარულის ღიმილით მოუსმინა შვილებს და უთხრა:

— მაშ, ახლავე გრეხილობა ვითამაშოთ.

— ჰო, ჰო, დედილო, ვითამაშოთ, ეგ ძალიან კარგი თამაშობა არის,—შეჰყვირეს ბავშვებმა ერთად.

— მაშ, აბა, ითამაშეთ!— მიუგო დედამ.

— ჩვენ რომ არ ვიცით, როგორ უნდა ვითამაშოთ,— გამოტეტა უფროსი ქალი ელო.

— მაშ, რაღად ამობთ, ძალიან კარგი თამაშობა არისო. აბა, მოიტანეთ ქაღალდი და ფანქარი.

ბალღებმა მაშინვე მოურბეინეს დედას ქაღალდი და ფანქარი.

— აი, უეურეთ, —დაიწყო დედამ: —მე დაგიხაზავთ გრეხილებს, ისე რომ თქვენ ამ გრეხილებს თითონ მიუმატეთ გრეხილები და თითონ გამოხაზეთ და გამოიეეანეთ რაიმე თქვენთვის ნაცნობი ნივთი ანუ ცხოველი: ჩიტი, კატა, ქუდი, სკამი, —ერთის სიტეეით, რაც გინდათ და რასაც მოახერხებთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



დედამ მაშინვე უჩვენა ერთ გრეხილ ხაზიდან გამოიყვანა ჰატარა ჩიტი, მეორედან — ბატი და დანარჩენ ორის გრეხილიდან — კურდღელი და კატა.

ბავშვები მაშინვე მიხვდნენ, როგორც უნდა ეთამაშნათ გრეხილობა, და მაშინვე შეუდგნენ საქმეს. ერთი ხატავდა გრეხილ ხაზებს და სხვებს კი იმ ხაზებზედ გამოჰყვანდათ სხვა და სხვა სურათები. ჰატარა ტარიელმა დახატა ძაღლი და ჰატარა ბიჭი, ელომ შეადგინა ეუთი და თეფში, თამრიკომ კი დიდხანს იფიქრა, რა შეედგინა და, ბოლოს, რომ ვერა მოახერხა-რა, ჰაწია თითებით წაუს-წამოუსვა თავის გრეხილებს, წაშალა და ქაღალდი ჯოხზედ დაამაგრა: გაკეთდა ცოცხი და ამით ეველანი გააცინა. ეს თამაშობა ბავშვებს ისე მოეწონათ, რომ შემდეგში ხშირად თამაშობდნენ. და ამ თამაშობით არამც თუ მხიარულად ატარებდნენ დროს, არამედ ხატვაც ისწავლეს.

მე-22 №-ში მოთავსებულ ცხრილისა და რებუსის ალსნა:

ა	ტ	ა	მ	ი	ი	თ	ე	ს	ა	ა	ს	ე	თ	ი	ი	მ	ა	ტ	ა

დახე კატა სკამზედ ავიდა.

რედაქტორი: **ნინო ნაკაშიძე.** გამომცემელი: **თ. პ. ი. თუმანიშვილი.**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა

„სახალხო გაზეთი“

გაზეთი გამოვა 1911 წელს იმავე პროგრამით როგორც 1910 წ. გამოდიოდა.

ეოველ-დღიურ გამოცემის გარდა 1011 წ. გაზეთს ექნება

გამოვა **სურათებიანი დამატება** **კვირაობით**

მიიღება ხელის-მოწერა 1911 წლისათვის. გაზეთის ფასი: წლით, როგორც ქალაქში, ისე ქალაქ გარედ 8 მან. და 50 კაპ, ნახევარი წლით 4 მ. 80 კ., ერთი თვით 80 კაპ., ცალკე ნომერი ყველგან დამატებით 7 კაპ., წლიურ ხელის მომწერლებს შეუძლიანთ გაზეთის ფასი ნაწილ-ნაწილადაც შემოიტანონ. ხელის მოწერა მიიღება „სახალხო გაზეთის“ კანტორაში და წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში ი. ავალიშვილთან.

რედაქციის ადრესი Тифлисъ, редакція „САХАЛХО ГАЗЕТИ“

დამდეგ 1911 წლის განმავლობაში „სახალხო გაზეთის“ დამოუკიდებლივ განზრახულია გამოიცეს რამდენ მე კრებული სამეცნიერო, ფილოსოფიური და სამხატვრო შინაარსისა. თითო წიგნი იქნება 300—500 გვერდამდე. გამომცემლებთან შეთანხმებით „სახალხო გაზეთის“ წლიურ ხელის მომწერლებს თითო წიგნი დაეთმობათ 50 კაპ., სხვებისთვის კი ეღირება არა ნაკლებ თითო მანეთისა.

მიიღება ხელის მოწერა 1911 წლისათვის

სამეცნიერო-პედაგოგიურს და სალიტერატურო ჟურნალ

„განათლება“-ზე

(წელიწადი მეოთხე)

ჟურნალი გამოვა ყოველ თვეში, გარდა ზაფხულის ორის თვისა, იმავე პროგრამით, როგორც ამდენ ხანს გამოდიოდა. ჟურნალი წლიურად ღირს გაგზავნით **სამი მანეთი**, ნახევარი წლით ორი მანეთი, სოფლის მასწავლებლებისათვის წლიურად ორი მანეთი. ცალკე ნომრები გასასყიდად არსად არ გაიგზავნება. დაიბეჭდება იმდენი ცალი რამდენიც ხელის მომწერლები იქნებიან. ხელის მოწერა მიიღება **ტფილისში**—„წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში **ივანე ავალიშვილთან** და „ნაკადული“-ს რედაქციაში. პროვინციებში კერძო აგენტებთან.

მისამართი—Тифлисъ, Дворянская Грузинская гимназія
Л. Г. БОЦВАДЗЕ

P. S. რედაქცია სთხოვს ხელის მომწერლებს და აგენტებს დროზედ აცნობონ ხელის მომწერთა ადრესები.

რედაქტორ-გამომცემელი **ლ. გ- ბოცვაძე**

საყმაწვილო სურათებიანი ჟურნალი

ნაკადული

წელიწადი VII

წელიწადი VII

გამოვა 1911 წელს იმავ პროგრამმით.

ფასი ფლიურად:

მოზრდილთათვის **12** წიგნი 3 მანეთი |)(| მცირე წლოვანთათვის **24** წიგნი 3 მან.

ორნივეზე ერთად მოზრდილთა და მცირე წლოვანთათვის 36 წიგნისა 5 მანეთი.

ნახევარ.ს წლით ვინც გამოიწერს ორივეს ერთად —3 მანეთი.

ხელის-მოწერა მიიღება: „ნაკადული“-ს რედაქციაში გოლოვინის პროსპ. სახ. № 8 და წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, სასახლის ქუჩა.

ეროვნული ბიბლიოთეკა